ოქმი:**ო03. 3722360001**

თარიღი:**26/12/2022**

ოქმი № 25

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2022 წელი, 23 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

11.30 -12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ბ. მელუა, ლ. ბიგვავა, ქ. ხომერიკი, ტ. აროშიძე, მ. ვაშალომიძე, გ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

მომხსენებელმა, გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ ესაუბრა მუნიციპალიტეტის მერიიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით შემოსულ პროექტზე, აღნიშნა, რომ ცვლილებები განპირობებულია როგორც საკუთარი შემოსავლების შემოსვლით, ასევე მთავრობის მიერ სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის და სხვა მიზნით გამოყოფილი თანხების გამო. ყოველივე ამის შედეგად ბიუჯეტი ჯამში იზრდება 5,335 მილიონი ლარით. ისაუბრა იმ მუხლებზე და პროგრამებზე, რომლებშიც გადანაწილდა დამატებითი შემოსავლები. კომისიამ იმსჯელა და მხარი დაუჭირა მის წარდგენას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი